იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 12 იანვარი, 2017წ.

ერთის მხრივ, **შპს "ევრო კრედიტ +"** (შემდგომში – **"მოიჯარე"**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **იოსებ რეუვენ გრენიკასის** უფლებამოსილი წარმომადგენლის **ნათია ვარსიმაშვილის** (პირადი №11001024317) სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. "გილემი" (ს/კ: 236059331)** (შემდგომში – **„მეიჯარე"**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მიხეილ კვეტენაძის** (პ/ნ: 18001002857) სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – **ხელშეკრულება**) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საფუძველზე მეიჯარე დროებითი სარგებლობაში იჯარით გადასცემს მოიჯარეს თავის საკუთრებაში არსებულ 7 200 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მდებარე ქ. თბილისში გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ (საკადასტრო კოდი №01.13.01.001.087) (შემდგომში "**ქონება**").

1.2. ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნის მეიჯარეს, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან: განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882016646873 - 22/09/2016, მომზადების თარიღი 23/09/2016.

1.3. მოიჯარეს ქონება გადაეცემა ავტოსადგომის / ავტობაზრობის მოსაწყობად.

2. საიჯარო ქირა და გადახდის პირობები

2.1. მხარეთა შეთანხმებით, ქონებით სარგებლობის სანაცვლოდ მოიჯარე ვალდებულია მეიჯარეს გადაუხადოს საიჯარო ქირა ყოველთვიურად **8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარის** ოდენობით.

2.2. საიჯარო ქირის გადახდა მოხდება თვეში ერთხელ არაუგვიანეს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვისა. ამასთან, მეიჯარე ადასტურებს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტისათვის მას მოიჯარისაგან უკვე მიღებული აქვს იჯარის ვადის პირველი თვის საიჯარო ქირა 8 000 აშშ დოლარის ოდენობითა და იჯარის ვადის ბოლო (მე-12) თვის საიჯარო ქირის ნახევარი 4 000 აშშ დოლარი (ჯამში 12 000 აშშ დოლარის ოდენობით).

2.3. ყოველგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად, ხელშეკრულების 2.1. მუხლით გათვალისწინებული საიჯარო ქირა მოიცავს ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მოიჯარის მიერ ყოველთვიურად გადასახდელ სრულ თანხას, ნებისმიერი და ყველა გადასახადისა თუ მოსაკრებლის (მათ შორის დღგ-ს) ჩათვლით.

2.4. საიჯარო ქირა გადაიხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საიჯარო ქირის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის მეიჯარის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

2.5. საიჯარო ქირის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია გადაუხადოს მეიჯარეს პირგასამტეხლო ვადის 7 კალენდარული დღით გადაცილების დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.07 %-ის ოდენობით.

3. ქონების გადაცემა და დაბრუნება

3.1. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტისათვის შეთანხმებული ხარისხისა და მახასიათებლების მქონე ქონება უკვე ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს გადაცემული მოიჯარეს.

3.2. ქონების დაბრუნებასთან ერთად მეიჯარეს გადაეცემა უფლება ყველა იმ სიკეთეზე,

რომელიც მოიჯარის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოების შედეგად არსებითი შემადგენელი ნაწილის სახით შეემატა საიჯარო ქონებას. შესაბამისად, მოიჯარე უფლებამოსილია საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში წაიღოს სარემონტო სამუშაოების შედეგად საიჯარო ქონებაზე შემატებული ყველა ის მოძრავი ნივთი, რომელთა მოხსნაც/განცალკევებაც შესაძლებელია საიჯარო ქონებისა და ამ ნივთების დაზიანების გარეშე.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. მოიჯარის უფლება-მოვალეობები:

4.1.1. მოიჯარეს უფლება აქვს განახორციელოს ცვლილება „საიჯარო ქონების" მდგომარეობასთან დაკავშირებით ან შეცვალოს „საიჯარო ქონებით" სარგებლობის მიზანი;

4.1.2. მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების შესაბამისად დროულად გადაიხადოს „საიჯარო ქირა";

4.1.3. მოიჯარეს უფლება აქვს გასცეს „საიჯარო ქონება" ქვეიჯარით მეიჯარის წინასწარი თანხმობის ~~გარეშე~~; იით.

4.1.4. ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე ვალდებულია დაუბრუნოს მეიჯარეს ქონება იმავე მდგომარეობაში რა მდგომარეობაშიც მან მიიღო ქონება მეიჯარისგან, ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით.

4.1.5. მოიჯარე ვალდებულია გაიღოს კომუნალური მომსახურეობის ხარჯები, რაც დაკავშირებულია საიჯარო ქონების ექსპლოატაციასთან, როგორიც არის ელექტროენერგიის, გაზის, დასუფთავების, სატელეფონო, ინტერნეტის და სხვა გადასახადები;

4.1.6. მოიჯარე ვალდებულია დაიცვას მეიჯარის მიერ დადგენილი „საიჯარო ქონების" ექსპლუატაციასთან დაკავშირებული უსაფრთხოების წესები;

4.1.7. მოიჯარე ვალდებულია შეინახოს, მოუაროს და დაიცვას „საიჯარო ქონება" და იჯარის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, სათანადო მდგომარეობაში დაუბრუნოს იგი „მეიჯარეს" ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით;

4.1.8. მოიჯარე უფლებამოსილია მეიჯარესთან დამატებითი შეთანხმების ან/და შეტყობინების გარეშე უზრუნველყოს ქონებაზე ნებისმიერი სახის რეკლამის (სარეკლამო და საინფორმაციო ბილბორდები, ლაითბოქსები და სხვ) განთავსება;

4.1.9. მოიჯარე უფლებამოსილია მოსთხოვოს „მეიჯარეს" ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და ზემოაღნიშნული პირობების კეთილსინდისიერად შესრულება;

4.1.10. მოიჯარე უფლებამოსილია განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

4.2. მეიჯარის უფლება-მოვალეობები:

4.2.1. "მეიჯარეს" უფლება აქვს "მოიჯარის" წინასწარი შეტყობინების გზით შევიდეს და დაათვალიეროს „საიჯარო ქონება", შეამოწმოს მისი მდგომარეობა, ჩაატაროს საჭირო სამუშაოები „საიჯარო ქონების" მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; აგრეთვე უჩვენოს „საიჯარო ქონება" დაინტერესებულ პირებს. ამ შემთხვევაში "მეიჯარე" ყოველმხრივ შეეცდება არ შეფერხდეს "მოიჯარის" საქმიანობა;

4.2.2. „მეიჯარეს" უფლება აქვს მოითხოვოს „მოიჯარესაგან" დათქმული „საიჯარო ქირის" გადახდა „მოიჯარის" მიერ ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემდეგ იჯარით აღებულ ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის იმ პერიოდისათვის რა პერიოდითაც აყოვნებს „მოიჯარე" „საიჯარო ქონების" დაბრუნებას. „მეიჯარეს" ასევე შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც მან განიცადა საიჯარო ქონების ვადაში დაუბრუნებლობის შედეგად.

4.2.3. მეიჯარე ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება, რამაც შეიძლება ხელი

შეუშალოს „მოიჯარეს“ „საიჯარო ქონებით“ სარგებლობაში ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

4.2.4. მეიჯარე ვალდებულია არ ჩაერიოს „მოიჯარის“ საქმიანობაში და მისცეს „მოიჯარეს“ სრული უფლება და შესაძლებლობა თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს „საიჯარო ქონებით“ ამ ხელშეკრულების ფარგლებში და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2.5. მეიჯარე ვალდებულია ითმინოს იჯარის საგნის მიმართ მოიჯარის მიერ გატარებული ზემოქმედებანი, რაც აუცილებელია საიჯარო ქონების მიმართ თავისი უფლებებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად.

4.2.6. მეიჯარე ვალდებულია აცნობოს მოიჯარეს საიჯარო ქონებათან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და ადმინისტრაციული საქმის წარმოების შესახებ, თუ ამგვარი წარმოება ზეგავლენას ახდენს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობაზე.

4.2.7. მეიჯარე ვალდებულია აცნობოს მოიჯარეს მისთვის ცნობილი ყველა სხვა გარემოების ან/და საბუთის შესახებ, რომელთა არსებობამ შეიძლება შეაფერხოს ან შეუძლებელი გახადოს „მოიჯარის“ მიერ „საიჯარო ქონების“ ფლობა და სარგებლობა;

4.2.8. მეიჯარე ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას ხელშეკრულების დადების დროს „საიჯარო ქონების“ მოიჯარესთან შეუთანხმებელი ნაკლოვანებები, მათ შორის ის ნაკლოვანებები, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხარეთათვის არ იყო ან არც შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი;

4.2.9. “მეიჯარეს” უფლება აქვს განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

4.2.10. “მეიჯარეს” უფლება აქვს მოსთხოვოს „მოიჯარეს“ საიჯარო ქირის გადახდა ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

4.2.11. “მეიჯარეს” უფლება აქვს მოსთხოვოს „მოიჯარეს“ „საიჯარო ქონების“ სათანადო წესითა და პირობებში შენახვა და დაცვა;

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 12 თვის ვადით - 2018 წლის 12 იანვრამდე.

5.2. ხელშეკრულების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ან ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს, მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები და ადასტურებენ ბეჭდით, (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.3. ხელშეკრულება შესაძლებელია ვადაზე ადრე შეწყდეს მოიჯარის ინიციატივით, მხოლოდ აღნიშნულის თაობაზე იგი მეიჯარეს აცნობებს არანაკლებ 2 თვით ადრე.

5.4. მოიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფს მოიჯარეს ალტერნატიული, ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობით გამოყენებისათვის ვარგისი არანაკლებ 4 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით საიჯარო ქონების მეზობლად.

6. ფორს მაჟორი

6.1. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შესრულება შეზღუდული, შეფერხებული ან შეუძლებელი გახდება ისეთი გარემოებების გამო, რომელზედაც ხელშეკრულების მხარის კონტროლი არ ვრცელდება, კერძოდ, აფეთქება, ეპიდემია, ქარიშხალი, მეწყერი, წყალდიდობა ან ნებისმიერი მსგავსი სხვა ბუნებრივი მოვლენა; ომი (განურჩევლად იმისა, არის თუ არა იგი გამოცხადებული), რევოლუცია, სახელმწიფო თუ სამხედრო გადატრიალება, სამოქალაქო არეულობა, ნაციონალიზაცია,

გაფიცვა, ბოიკოტი ან ნებისმიერი ისეთი გარემოება, რაც მოქმედი კანონმდებლობისა და სახელშეკრულებო სამართლის დამკვიდრებული პრინციპების თანახმად შეიძლება ჩაითვალოს ფორსმაჟორული ხასიათის მქონედ, მაშინ ასეთი მხარე გათავისუფლდება ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედების დროის მანძილზე;

6.2. ასეთი მხარე დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ხუთი დღისა აცნობებს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების დადგომის შესახებ და ყოველ ძალისხმევას მიმართავს მსგავსი გარემოების და ზიანის თავიდან ასაცილებლად, მისი ხანგრძლივობის ან შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად და ფორსმაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტისთანავე დაუყოვნებლივ განაახლებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულების შესრულებას;

6.3. თუკი ფორს მაჟორული გარემოებების მოქმედება გასტანს ორ თვეზე მეტ ხანს, მაშინ თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყიტოს წინამდებარე ხელშეკრულება ისე, რომ არ იქნება პასუხისმგებელი ფორს მაჟორული გარემოებების ზეგავლენით მიყენებული ზიანის ან ამ მიზეზით შეუსრულებელი ვალდებულების გამო;

6.4. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ.

7. დასკვნითი დებულებები

7.1. მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. ხელშეკრულების თაობაზე წარმოშობილი საკამათო საკითხები გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

7.3. თუკი ერთ-ერთი მხარე შეიცვლის იურიდიულ მისამართს ან შეიცვლება მისი საბანკო ანგარიშის ან სადამფუძნებლო/სარეგისტრაციო მონაცემები, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ცვლილებების განხორციელებიდან არა უგვიანეს 5 (ხუთი) დღისა შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

7.4. ყოველგვარ ცვლილებას ან დამატებას ხელშეკრულებაში ძალა აქვს, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ; წინამდებარე ხელშეკრულების ყოველი დანართი თუ დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

7.5. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან პუნქტის ბათილობა ზეგავლენას არ ახდენს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლების/პუნქტების იურიდიულ ქმედითობაზე და ისინი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიმოწერა მხარეებს შორის შეიძლება განხორციელდეს, როგორც წერილობით ისე ელექტრონული ფორმით; ელექტრონული ფორმით გაგზავნილ დოკუმენტს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობით დოკუმენტს;

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

7.8. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თით ეგზემპლარი ინახება მხარეებთან, ხოლო ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე

შპს "გილემი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 236059331

საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE81TB7612336020100002

დირექტორი: მიხეილ კვეტენაძე

მოიჯარე

შ.პ.ს. "ევრო კრედიტ +"
საიდენტიფიკაციო კოდი: 404915561
ქ. თბილისი, გიორგი სააკაძის მე-2
გასასვლელი №11

საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE75TB7479236080100004

წარმომადგენელი: ნათია ვარსიმაშვილი

შეთანხმება

ქ. თბილისი

23.05.2017წ.

ერთის მხრივ, **მეიჯარე: შპს „გილემი“** (საიდენტიფიკაციო კოდი №236059331) (შემდგომში „*მეიჯარე*“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **მიხელ კვეტენაძის** (პირადი №18001002857) მიერ,

მეორეს მხრივ, **მოიჯარე: შპს „ევრო კრედიტ +“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 404915561) (შემდგომში „*მოიჯარე*“), წარმოდგენილი დირექტორის **იოსებ რეუვენ გრენიკასის** (პირადი №0-2855023-4) რწმუნებულის **ანა გოგაშვილის** (პ/ნ 01019032377) მიერ

და

მესამეს მხრივ, **შპს „ავტოჰაბი“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 405188737) (შემდგომში „*ახალი მოიჯარე*“), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ალექსანდრე ლილუაშვილის** (პირადი №01009014884) მიერ,

მეიჯარე, მოიჯარე და ახალი მოიჯარე ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე – როგორც “მხარე”.

პრეამბულა

ვინაიდან, მეიჯარესა და მოიჯარეს შორის 2017 წლის 12 იანვარს დაიდო იჯარის ხელშეკრულება (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882017023356, თარიღი: 12/01/2017; უფლების რეგისტრაციის თარიღი: 17/01/2017) მეიჯარის საკუთრებაში არსებულ ფართზე, მდებარე: ქ. თბილისი, გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე, ავტომანქანების ბაზრობის მოპირდაპირედ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **№01.13.01.001.087**) (შემდგომში „*იჯარის ხელშეკრულება*“);

ვინაიდან, მოიჯარეს აღარ სურს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთობის გაგრძელება, ამასთან, მან მეიჯარეს თავის სანაცვლოდ შესთავაზა ახალი გადახდისუნარიანი და მეიჯარისათვის მისაღები მოიჯარე, რომელიც აცხადებს თანხმობას მიიღოს იჯარის ხელშეკრულება იმავე პირობებით, რაზეც მეიჯარეც აცხადებს თანხმობას;

ვინაიდან, მოიჯარემ უკვე გადაუხადა მეიჯარეს იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო პერიოდის ბოლო თვის (12.12.2017-12.01.018წწ. პერიოდი) საიჯარო ქირა **8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარის (ეკვივალენტი ლარებში)** ოდენობით;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები ვთანხმდებით და ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში „*შეთანხმება*“) შემდეგზე:

1. 2017 წლის 23 მაისიდან საიჯარო ურთიერთობაში მოიჯარე შპს „ევრო კრედიტ +“-ს ჩაანაცვლებს ახალი მოიჯარე - შპს „ავტოჰაბი“; შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობაში **შპს „ევრო კრედიტ +“** სრულად გადასცემს თავის ვალდებულებებსა და უფლებებს **შპს „ავტოჰაბი“-ს**;
2. ახალ მოიჯარეს გადახდილად ჩაეთვალოს მეიჯარის მიმართ საიჯარო პერიოდის ბოლო თვის (12.12.2017-12.01.018წწ. პერიოდი) საიჯარო ქირა **8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარი (ეკვივალენტი ლარებში)**;
3. მოიჯარეს სრულად აქვს გადახდილი მეიჯარისათვის 2017 წლის 12 ივნისის ჩათვლით გადასახდელი საიჯარო ქირა. შესაბამისად, ახალი მოიჯარე **შპს „ავტოჰაბი“** საიჯარო ქირის **8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარის** გადახდას დაიწყებს 2017 წლის 12 ივნისიდან;

4. ახალი მოიჯარე **შპს „ავტოჰაბი“** კისრულობს ვალდებულებას, გადაუხადოს მოიჯარეს **შპს „ევრო კრედიტ +“-ს** მის მიერ მეიჯარისათვის წინასწარ გადახდილი საიჯარო პერიოდის ბოლო თვის (12.12.2017-12.01.018წწ. პერიოდი) საიჯარო ქირა **8 000 (რვა ათასი) აშშ დოლარი (ეკვივალენტი ლარებში)** წინამდებარე შეთანხმების საჯარო რეესტრში რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
5. მხარეები ვაცხადებთ და ვადასტურებთ, რომ მეიჯარესა და მოიჯარეს შორის ასევე არსებობს სასესხო ურთიერთობა (საფუძველი: 2017 წლის 02 მარტის №144218 სესხის ხელშეკრულება), რომლიდან გამომდინარეც მეიჯარის დავალიანება (სესხის დარჩენილი ნაწილი) მოიჯარის მიმართ შეადგენს **43 708 (ორმოცდასამი ათას შვიდას რვა) აშშ დოლარს,** ხოლო მეიჯარე ყოველთვიურად უხდის მოიჯარეს სესხზე რიცხულ საპროცენტო სარგებელს ყოველი თვისათვის სესხის 3%-ის ოდენობით. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მეიჯარის მხრიდან ადგილი ექნება ზემოხსენებული სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების შეუსრულებლობას, მოიჯარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ახალი მოიჯარე ვალდებულია იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საიჯარო ქირა ნაცვლად მეიჯარისა გადაუხადოს მოიჯარეს, რაზეც მეიჯარე წინასწარ, ამ შეთანხმებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას. ამასთან, ახალი მოიჯარის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესით მოიჯარისათვის გადახდილი თანხა ერთის მხრივ, ჩაითვლება გადახდილი თანხის ოდენობით ახალი მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის მეიჯარისათვის გადახდად, ხოლო მეორეს მხრივ, მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებად;
6. იჯარის ხელშეკრულების ყველა დებულება, შეთანხმების გათვალისწინებით, რჩება უცვლელი. შესაბამისად, მხარეები ვადასტურებთ, რომ იჯარის ხელშეკრულება სრულად განაგრძობს მოქმედებას შეთანხმების შინაარსის გათვალისწინებით და რომ შეთანხმება დადებისთანავე იქცევა იჯარის ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად და განიხილება მასთან ერთად;
7. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ოთხ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ახალი მოიჯარის სარეგისტრაციოდ, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები ინახება მხარეებთან;
8. შეთანხმება დადებულია სათანადო წესით, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და წარმოადგენს ნამდვილ, მხარეთა მავალდებულებელ შეთანხმებას, რომლიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება დაუბრკოლებლივ შეიძლება იქნას მოთხოვნილი მხარეების მიერ;
9. მხარეები ვადასტურებთ, რომ სრულად გვესმის შეთანხმების დებულებათა შინაარსი და ვეთანხმებით მას, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით:

მეიჯარე:
შპს „გილემი“
წარმოდგენილი დირექტორის მიხელ კვეტენაძის მიერ ---

მოიჯარე:
შპს „ევრო კრედიტ +“
წარმოდგენილი ანა გოგაშვილის მიერ ---

ახალი მოიჯარე:
შპს „ავტოჰაბი“
წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ლილუაშვილის მიერ ---